ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2021 წლის 21 დეკემბრის №23 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 16 091 000 ლარით. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 24 035 718 ლარს. რაც შეეხება 2022 წლის I კვარტლის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 5 379 074 ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის I კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 4 829 408 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4 944 121 ლარი და გეგმა შესრულდა 102 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 3 348 700 ლარი, შემოვიდა 3 266 710 ლარი და გეგმა შესრულდა 98 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 183 000 ლარი, შემოვიდა 206 348 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 113 პროცენტი. გრანტების გეგმა იყო 1 297 708 შემოვიდა 1 471 063 ლარი გეგმა შესრულდა 113 პროცენტით.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 309 666ლარი.

მიმდინარე პერიოდის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 5 379 074 ლარი, შესრულებამ შეადგინა 5 536 672 ლარი და გეგმა შესრულდა 103 პროცენტით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის გადასახდელების (ხარჯების) I კვარტლის გეგმა იყო 5 379 074 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4 117 803 ლარი, გეგმა შესრულდა 77 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 259 500 ლარი, შესრულებამ შეადგინა 234 335 ლარი და გეგმა შესრულდა 90 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის I კვარტლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 668 800 ლარი, შესრულებამ შეადგინა 547 179 ლარი და გეგმა შესრულდა 82 პროცენტით.
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გეგმიური 34 600 ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 29 188 ლარი და გეგმა შესრულდა 84 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 2 042 210 ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 584 322 ლარი (78%).
5. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 417 900 ლარი, შესრულებამ შეადგინა 233 873 ლარი (56%).
6. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის განსაზღვრული ხარჯები იყო 1 178 241 ლარი, შესრულებამ შეადგინა 926 869 ლარი (79%).

7. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 444 601 ლარი, შესრულებამ შეადგინა 332 398 ლარი და გეგმა შესრულდა 75 პროცენტით.

8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 305 698 ლარი, შესრულებამ შეადგინა 229 636 ლარი (75%).

9. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 53 176 ლარი.

დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების და გადასახდელების შესახებ თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი: /**გ. მანგოშვილი**/